ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2025 – 2028 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით მოსახლეობის გამოკითხვის ანალიზი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოიკითხა 440 მოქალაქე. გამოკითხვა ჩატარდა, როგორც სატელეფონო ინტერვიუს სახით, ასევე პირისპირ გასაუბრებით.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები ინფორმირებული არიან და სარგებლობენ მოქმედი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით. კერძოდ, მედიკამენტებით და სამედიცინო მომსახურეობის უზრუნველყოფით, შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსებით, მრავალშვილიან მშობელთა, უსინათლოთა და სმენადაქვეითებულთა დახმარებით, სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარებით და სხვა.

მუნიციპალურ პროგრამებთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე, წამლის ვაუჩერით სარგებლობისთვის ქულის ზღვარი გაიზარდოს - 70 000-დან 100 000-მდე. პროგრამა განხორციელდეს, ასევე უსტატუსო, შეჭირვებულ, პენსიონერ და დიაბეტით დაავადებული მოქალაქეებისთვის. სარიტუალო მომსახურების დაფინანსებასთან დაკავშირებით ზღვარი გაიზარდოს 100 000-დან 120 000-მდე ქულის მქონე მოქალაქეებისთვის.

მოსახლეობის სურვილია, ქალაქში ფუნქციონირებდეს მუნიცილური პოლიკლინიკა, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულება, კვალიფიციური მედპერსონალით, პალიატიური განყოფილებით, რათა პაციენტებს ადგილზე გაეწიოთ უმაღლესი დონის სამედიცინო მომსახურება.

გამოკითხული მოქალაქეების უმრავლესობის პრიორიტეტულ საკითხად რჩება ინფრასტრუქტურული სფერო. კერძოდ: მუნიციპალური ტრანსპორტის მოსაცდელების მოწესრიგება და ელექტრონული ტაბლოების მოწყობა, ეზოების, საბავშვო გასართობი სივრცეების, მინი სტადიონების მოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების შეფუთვა-შეღებვა, სადარბაზოების რეაბილიტაცია, ლიფტების, ეზოების კეთილმოწყობა, ხანდაზმული საცხოვრებელი ბინების ვარგისიანობის შესწავლა. ასევე, გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწყობა, ბანკომატებთან პატარა ზომის ურნების განთავსება, მალთაყვის სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა, მალთაყვის ტყე-პარკის გაწმენდა.

გამოთქვეს სურვილი, ქალაქში აშენდეს კინო-თეატრი, მრავალფუნქციური „სახლი“ ხანდაზმულებისთვის, ავტოსადგური, საპარკინგე ადგილები (მისაბმელი მანქანებისთვის), ქალაქში შეიზღუდოს დიდი ზომის მანქანების მოძრაობა და მოეწყოს თავშესაფარი მიუსაფარი ძაღლებისთვის.

სპორტისა და ტურიზმის მიმართულებით - შეიქმნას შემეცნებითი და გასართობი ცენტრები ახალგაზრდებისთვის, მოეწყოს ჩოგბურთის კორტები.

ეკოლოგიური მიმართულებით - მოხდეს პრობლემის განხილვა და გადაჭრა ნაბადის უბანში.

მოსახლეობას აქტუალურ საკითხად მიაჩნია დასაქმების პრობლემა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ცნობადობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამებთან დაკავშირებით, გასულ წელთან შედარებით გაიზარდა. გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობას გამოყენებული აქვს ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის პროგრამები.

Timestamp	სახელი, გვარი	საკონტაქტო ტელეფონი	ელ-ფოსტა	პროგრამის/იდეის დასახელება	პროგრამის/იდეის მიზანი
5.1.2024 23:30:57	როზერტი სიმონია	577283841	r.simonia@gmail.com	ნავმისადგომი პატარა ნავებისთვის	არსებული პრობლემის მოგვარება, სპორტული თევზაობის განვითარება, ოსტროვის ზღვის სანაპირო ზოლის განვითარება
5.26.2024 21:12:20	ნანა ტაბიძე (ალექსანდრე ქავთარაძე, ლევან მაშავა)	599883399	tour.linata@gmail.com / nana.tabidze@yandex.ru	„კეფალის ფესტივალი", როგორც მოსახლეობის ჩართულობის ზრდის მაგალითი ფოთის ტურისტული სექტორის განვითარებაში. 2018 წლიდან აგვისტოს თვის მესამე კვირას ქ.ფოთში ტარდება კეფალის ფესტივალი / KEFAL FEST, რომლის მთავარი მოტივია საოჯახო დასვენების კულტურისა და ტურიზმის განვითარება ფოთში. ფესტივალი ტარდება ქალაქის რამოდენიმე ტერიტორიაზე (ოქროს ტბა, ცენტრალური პარკი, კოლხეთის ეროვნული პარკი). ფესტივალის სლოგანია „გავაფერადოთ შავი ზღვა", რაც მიუთითებს ფოთის, უფრო მრავალფეროვან ქალაქად ქცევის იდეაზე, ბედნიერი და სრულყოფილი ცხოვრების ხელშეწყობით. ქალაქში ტარდება სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ფესტივალები. მაგრამ უმეტეს წილად მათ სტუმრობს ფოთელი მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი. კეფალის ფესტივალი გადაჭრის ისეთ პრობლემას , როგორიცაა «კულტურული დასვენება», ფოთის მოსახლეობის, ტურისტებისა და ქალაქის სტუმრებისთვის, რაც ამავდროულად ხელსშეუწყობს ქალაქის პოპულარიზაციას. ფესტივალს აქვს სპორტული, შემეცნებითი, გასართობი, საგანმანათლებლო და სხვა მიმართულებები. აღსანიშნავია, რომ ის აერთიანებს მრავალ (დაახლოვებით 25) ღონისძიებას: შეჯიბრი სპორტულ თევზჭერაში, ქალთა კლუბის წევრების მონაწილეობა გარბენში, პლაჟის თამაშობები, მეგრული სამზარეულოს დაგემოვნება, მინი-ლექციები, ექსკურსიები ტურისტებისთვის ქალაქში კულტურული მემკვიდრეობის დასათვალიერებლად, გასეირნება კოლხეთის ეროვნულ პარკში და სხვა საფესტივალო აქტივობები, პატარა კონცერტები დღის განმავლობაში და საზეიმო კონცერტი პლაჟზე დღის ბოლოს. ფესტივალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არის საქართველოში ერთადერთი საქალაქო მასშტაბის კვესტი (თამაში) სახელწოდებით არგო კვესტი / ARGO QUEST, რომლის თემატიკა გულისხმობს არგონავტების ჩამოსვლას ამ ადგილებში და გაწერილია სპეციალურად ფოთის პარკისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფესტივალის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქ. ფოთის მოსახლეობას, რაც გამოიხატება წლის მანძილზე ჩატარებულ შეხვედრებსა და თანამშრომლობაში. სულ 2019-დან 2024 წწ. კეფალის ფესტივალის ფარგლებში ფოთის მოსახლეობისთვის წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 11 ღონისძიება, რომლებიც იყო საინფორმციო შინაარსის და აჩვენებდა მოსახლეობას თუ რა სარგებლის მომტანია ეს ფესტივალი. კეფალის ფესტივალი ნომინირებული იყო 2018-2019 წლებში Welcome to Georgia Award-ზე ნომინაციაში „Best Festival and Event" და 2019-ში მიიღო Finalist (ფინალისტის) წოდება. 2020-2021 წლებში კოვიდის გამო ფესტივალი ჩატარდა ონლაინ ფორმატში და ჟურნალ Entrepreneur და თიბისი ბანკის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში ეს ნაბიჯი/მოვლენა აღნიშნა როგორც ინოვაციური მიდგომა. კეფალის ფესტივალი / KEFAL FEST იყო კერძო ინიციატივა, და ფინანსდებოდა კერძო პირის მეშვეობით და ქ.ფოთის მერიის ადმინისტრაციული რესურსის დახმარებით. ფესტივალი 2024 წელს ჩატარდება მეშვიდედ. ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს წინა წლების შეცდომები თუ არასახარბიელო ნაბიჯები და შესაბამისად წელს პროგრამა გაცილებით დაიხვეწა, გაიზარდა მოსახლეობის აქტიურობა, რაც გვაძლევს იმედს ქალაქის ადმინისტაციული რესურსის უფრო მეტი გამოყენების. ეს წლები მიუთითებენ ფესტივალის მდგრადობაზე, რაც არის დიდი პრობლემა საქართველოს ივენთ ტურიზმის სფეროში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ფესტივალი მოუტანს ეკონომიკურ სარგებელს როგორც ქალაქის მერიას, ასევე მოსახლეობას და დაიკავებს თავის ადგილს ფოთის განვითარებაში. ამით შეემატება ახალი ლოკაცია საქართველოს ტურისტულ რუკას და ფოთი გახდება ახალი ტურისტული მიმართულება.	ფესტივალი მრავაფეროვანია, გვინდა მივაქციოთ ყირადღება 3 კონკრეტულ მიზანს: 1) ფესტივალის ფარგლებში დავიწყეთ საოჯახო დასვენების თემების დასახვა სამეგრელოს რეგიონებში, კერძოს ფოთში, დასვენების კულტურის ასამაღლებლად. ამ მიზანს ვახორციელებთ მრავალფეროვანი პროგრამით, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა ასაკზე და გულისხმოს გონივრულ და ფიზიკურ განვითარებას დასვენების დროს. ჩვენი იდეალური სტუმერი არის ოჯახი (ბებო-ბაბუ, დედა-მამა და შვილები) ან მეგობრების ჯგუფი. (www.kefalfest.com.ge) 2) ჩვენი მიზანია - ტურიზმის განვითარება ფოთში. ტურიზმი ფოთში ფაქტობრივად არ არის. დღეს ამ ქალაქში სულ რამოდენიმე სასტუმრო და ჰოსტელია. არც ტურისტული ინფრასტრუქტურაა მოწესრიგებული. ამ ფონზე, ჩვენი ფესტივალი არის ტურიზმის განვითარების პლატფორმა (საუბარია როგორც გარე ისე შიდა ტურიზმზე). შესაძლებელია დავიწყოთ ჩვეულებრივი საექსკურსიო (რაც უკვე დახვეწილია) და სათავგადასავალო ტურიზმით კოლხეთის ეროვნულ პარკში. ტურისტების რაოდენობის ზრდის შედეგად ჩვენ დავეხმარებით ადგილობრივ მოსახლეობასაც (განთავსების, ჭამის და ტრასპორტორების საკითხებში). ჩვენ გვინდა ვნახოთ ტურისტები ქალქის ქუჩებში. კონტაქტი ამ ჯგუფებთან FB-ის, Instagram-ის, TG-ის გვერდებიდან (@კეფალისფესტივალი, @kefal.fest, @KefalFest in Poti) 3) ეს ღონისძიება არ ჰგავს სხვა ფესტივალებს, ვინაიდან ჩვენ გვაქვს საკმაოდ სერიოზული საგანმანათლებლო სექტორი/ზონა (13 მინი ლექცია), ამით ვეხმარებით მოსახლეობის ზოგადი განათლების დონის ზრდას.

პროგრამის/იდეის სამიზნე ჯგუფი (რომელი ჯგუფისთვის არის განსაზღვრული კონკრეტული პროგრამა?)	პროგრამის/იდეის ბიუჯეტი (მიუთითეთ, სავარაუდო, სრული ბიუჯეტი ლარში)	აღწერეთ თქვენი წინადადება ახალ მუნიციპალურ პროგრამასთან / ქვეპროგრამასთან დაკავშირებით
ყველა ასაკი	50 000 ლარამდე	მოგეხსენებათ, ქალაქ ფოთის კუნძულის უბანში მიმდინარეობის ნაპირსამაგრი სამუშაოები. სამუშაოების მიმდინარეობისას მოვითხოვეთ ახალი ნაპირის (გამაგრების) სიმაღლის შემცირება, ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული სიმაღლე არ შეესაბამება მოსახლეობის სურვილს ზღვის ხედთან დაკავშირებით, იმიტომ რომ, ახალმა ნაპირმა ზღვის ხედი მთლიანად დაფარა. ჩვენი მოთხოვნა დაუყონებლივ დაკმაყოფილდა და აღნიშნული ნაპირის მშენებლობა გაგრძელდა ისეთი სიმაღლით, რომელიც აღარ ფარავს ზღვის ხედს. ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ იმ მასალის (ქვების) გამოყენებით, რომლებიც განთვალისწინებული იყო პროექტით, მაგრამ სიმაღლის დაკორექტირების გამო, აღარ დაჭირდება აღნიშნულ პროექტს, უნდა მოხდეს მიმდინარე პროექტით გათვალისწინებული მასალებით (ქვებით, ხრეშით), რომელიც გამონთავისუფლდა მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე, უნდა მოხდეს პატარა ნავებზე გათვლილი ბუხტის მოწყობა. მე, პირადად მაქვს სარგებლობაში 2 ნავი ყველა შესაბამისი აღჭირვილობით, საბუთებით; ვცხოვრობ ზღვიდან 20 მეტრში, მაგრამ არა მაქვს საშუალება რომ ზღვაში ჩავიყვანო.
ჩვენი ფესტივალის აუდიტორია კარგადაა განსაზღვრული და ზუსტად ამ ჯგუფებზე იყო გათვლილი გასული წლების განმავლობაში ჩვენი PR სტრატეგია. ესენია: 1)ფოთელები, 1000-1750 (3-5% მოსახლეობის 35000, სადაც შედიან ახალგაზრდა მშობლები 25-45 წლის შვილებთან ერთად, საშუალო ფენის წარმომადგენლები (ბანკის, ტერმინალების, პორტის, მადაზიების თანამშრომლები, მასწავლებლები, ექიმები). აგრეთვე, ახალგაზრდა მოსახლეობა 15-20 წლის, სტუდენტები და მუნიციპალიტეტების თანამშრომლები. ყველას უკვე აქვთ საკმარისი ინფორმაცია ფესტივალზე, დარჩა გამოსვლა და დასწრება. 2)საქართველოში მცხოვრები სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები (რელოკანტები/ექსპატები). ჩვენ დავთვალეთ 1% საერთო რაოდენობის (100 000 gnta.statistics) და ეს დაახლოვბთ 1000 სტუმარია თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ფოთიდან, ქობულეთიდან, სენაკიდა, ოზურგეთიდან. ამ ადამიანებს ყოველთვის აინტერესებს ახალი ადგილები და ამ თვალსაზრისით ფოთი, ოქროს ტბა, მალთაყვა, კოლხეთის ეროვნული პარკი და სხვა გახლავთ ძალიან საინტერესო ტურისტული ლოკაციები. 3)შიდა ტურისტები, საქართველოს მოქალაქეები. 2020 წელს კოვიდის ფონზე სტატისტიკამ გვიჩვენა 25%-ით ზრდა შიდა ტურიზმის სექტორში. შესაძლებელია 100-200 ადამინი გვესტუმროს (არის დამოკიდებული ცენტრალური სატელევიზიო არხების გაშუქებაზე და/ან ფოთის მაცხოვრებლების ახლობლების მოწვევაზე) 4)მცირე რაოდენობა ტურისტების, ვინც ჩამოსულია საქართველოში ზღვაზე დასასვენებლად და 17 აგვისტოს იქნებიან ურეკში, გრიგოლეთში, კაპროვანში, შეკვეთილში, ქობულეთში. დაახლოვებით 100 -150 ადამიანი. ყველა ზემოთაღნიშნულ ჯგუფებისთვის გვაქვს დამუშავებული PR გეგმა. ამ გათვლით ჩვენ ველოდებით არანაკლებ 2300- 2500 სტუმარს.	საერთოდ, ამ ფესტივალის გეგმას სჭირდება 70 000-80 000 ლარი. ფოთის რეალობების გათვალისწინებით ჩვენ თხოვნით მოგმართავთ გამოყოთ თანხა შემდეგ პუნქტებისთვის: 1) ქალაქის სცენის იჯარა (1500 ლარი) 2) სტიკერი A4 ხრომოლუქსი ან ცარცის სტიკერის მასალა უკან დასერილი 1000c=600ლ / 1500c=760ლ / 2000c=890 ლ 3) ნაჭრის ორმაგი გადასაჭიმი ბანერი გზაზე , ზომა 1 მ X 5 მ - 1 ცალი ღირს 1100ლ დამოკიდებულია თქვენ გადაწყვეტილებაზე. ამ პროექტის ფარგლებში ვთხოვთ 2100 ლარიდან (1500+600) 3490 ლარამდე (1500+890+1100)	ჩვენი პროექტი (კეფალის ფესტივალი) როგორც ხედავთ, ახალი „იდეა“ არ არის, მაგრამ თავისი თემებით, ადგილით, პროგრამით, მოსახლეობის ჩართულობით, მდგრადობით და 3-5 წლიანი მომავალი გეგმით გვაჩვენებს დიდ პერსპექტივას ქალაქ ფოთის ტურიზმის განვითარების საკითხებში. რა თქმა უნდა, ეს არის მულტიპროფილური ფესტივალი, სადაც ორგანიზატორების გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქის მერიისა და სპონსორების მხარდაჭერას (პორტს, ტერმინალებს, ლოჯისტიკურ კომპანიებს, სავაჭრო და სამშენებლო ცენტრებს და სხვა კომერციულ დაწესებულებებს) ისევე, როგორც სხვა ფონდებისა და სამინისტროს პროგრამების ხელშეწყობას. ჩვენ ვთვლით, რომ 2025 წლიდან ამ ფესტივალს უნდა ჰქონდეს ცალკე ბიუჯეტი, რომელიც ასახავს უკვე გავლილ გზას და მისცემს საშუალებას ფესტივალს გაიზარდოს 2-5 -ჯერ სტუმრების რაოდენობის თვალსაზრისით, სამუშაო ადგილების შექმნით, ახალი თანამედროვე მეთოდების დანერგვით. ცალკე დაფინანსება კეფალის ფესტივალს დაეხმარება გახდეს საუკეთესო ფესტივალი საქართველოში, შავი ზღვის ნაპირზე. მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც , რომ ჩვენი ფესტივალი შეტანილია ქ ფოთის „კულტურის განვითარების სტრატეგიის 2022-2027წწ გეგმის“ ფესტივალების სიაში. გავიმეორებთ, რომ სწორედ ქალაქის მოსახლეობა ერთ-ერთი მამოტივირებელი ძალა ფესტივლის ორგანიზატორებისა და მოხალისეებისთვის. ასეთი თანამშრომლობა არის ქალაქის თვითმართველობის კარგი მაგალითი. უკვე დღეს, ვინც დაეწრო, სჯერა, რომ ფესტივალი გახდება საუკეთესო შავ ზღვაზე და ის იქნება დიდი პრივილეგია არსებული და დამწყები ბიზნესმენებისთვის განავითარონ ახალი მიმართულებები. ეს ნაწილობრივ გადაჭრის ყველაზე დიდი ეკონომიკურ პრობლემას საქართველოში, როგორიც არის უმუშევართა დასაქმება. (მასტერ-კლასები სიმღერაში, ცეკვაში თუ სხვა დარგში კი კონკრეტულად დასაქმებს ადგილობრივ მუსიკოსებს, მსახიობებს, მოცეკვავეებს, მხატვრებს, ლოკალურ ტელეოპერატორებს, ხმის ოპერატორებს და ფოთის სტუდენტებს არდადაგების პერიოდში). თქვენ ხედავთმ რომ ჩვენი პროექტი პასუხობს თქვენ მოთხოვნას: „პრიორიტეტების განსაზღვრა ხდება მოსახლეობის უშუალო ჩართულობით და გულისხმობს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ქალაქის განვითარებისთვის საჭირო სხვა მნიშვნელოვანი პროგრამების ხელშეწყობას“.